საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 15-1 20/03/2020

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ზოგიერთი ღონისძიების განსაზღვრის შესახებ

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, პრემიერ-მინისტრი სხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის №2-107 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ფუნქციონირება განაგრძონ შემდეგმა ბიზნესოპერტორებმა:

   ა) სურსათის/ცხოველთა საკვების საცალო/საბითუმო ვაჭრობის ობიექტებმა (მაღაზიები, საბითუმო/საბაჟო საწყობები, აგრარულიბაზრები);

   ბ)სურსათის სამაცივრე მეურნეობებმა;

   გ) სურსათის წარმოება/გადამამუშავებელმა საწარმოებმა (მათ შორის, პურ-ფუნთუშეულის საცხობებმა, ცხოველთა სასაკლაოებმა (სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე));

   დ) საზოგადოებრივი კვების ობიექტებმა, მხოლოდ მიწოდების სერვისით;

   ე) ცხოველის საკვების გადამამუშავებელმა საწარმოებმა;

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

ვ) სურსათის/ცხოველთა საკვების დისტრიბუტორებმა (მათ, შორის იმპორტიორებმა);

ზ) ვეტერინარულმა კლინიკებმა;

თ) ცოცხალი ცხოველების ბაზრებმა/ბაზრობებმა;

ი) ცხოველთა ფერმებმა;

კ) ვეტერინარულმა აფთიაქებმა/ვეტერინარული პრეპრატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტებმა;

ლ) ზოომაღაზიებმა;

მ)პესტიციდებისა და აგროქიმიქატების აღიარებულმა საცალო/საბითუმო ობიექტებმა;

ნ) სურსათის/ცხოველთა საკვების ლაბორატორიებმა;

ო) საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის მაღაზიებმა.

2. დაევალოს თბილისის საქალაქო სამსახურის და რეგიონული სამმართველოების უფროსებს, მათი სამოქმედო ტერიტორიების ფარგლებში, უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ბიზნესოპერატორებისთვის შემდეგი რეკომენდაციების გაცემა:

2.1.ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც აწარმოებენ/გადაამუშავებენ სურსათს, მკაცრად უნდა დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) სურსათის გაციების, გაყინვის და თერმული დამუშავების დროს მკაცრად იქნეს დაცული ტემპერატურული რეჟიმები;

ბ) პერსონალის მიერ გამოყენებული იქნეს ერთჯერადი პირბადე, თავსაბურავი და ხელთათმანი;

გ) პერსონალის მიერ ხელების დაბანა მოხდეს ხშირად, თხევადი საპნით და წყლით; ერთჯერადი ხელსახოცით ხელის გამშრალების შემდეგ მოხდეს ხელების დეზინფექცია არანაკლებ 70% სპირტის შემცველი ხსნარით ან ანალოგიური ეფექტის მქონე სხვა სადეზინფექციო ხსნარით;

დ) ყველა იმ ზედაპირის და ინვენტარის, რომელსაც შეხება აქვს სურსათთან, რეცხვა-დეზინფექცია მოხდეს გაზრდილი სიხშირით და სადეზინფექციო

და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;

ე) სამუშაოს დაწყების წინ გაკონტროლდეს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ხველა, სუნთქვის უკმარისობა, ტემპერატურა);

2.2.ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის ე.წ მიწოდების სერვისით სურსათის მიწოდებას, მკაცრად უნდა დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) პერსონალი, რომელიც მონაწილეობას იღებს სურსათის მიწოდებაში, აღჭურვილი უნდა იყოს ერთჯერადი პირბადით და ხელთათმანით;

ბ) სურსათი მოთავსებული უნდა იყოს ერთჯერად ტარაში, ხოლო მრავალჯერადად გამოსაყენებელი კონტეინერების რეცხვა-დეზინფიცირება უნდა მოხდეს ყოველი გამოყენების შემდეგ, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;

გ) სურსათის ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნეს სურსათის ტემპერატურული რეჟიმი.

2.3. ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც ახორციელებენ საცალო/საბითუმო ვაჭრობის ობიექტებში მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებას,მკაცრად უნდა დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) პერსონალი, რომელიც მონაწილეობას იღებს პროდუქციის მიწოდებაში, აღჭურვილი უნდა იყოს ერთჯერადი პირბადით და ხელთათმანით;

ბ) რეცხვა-დეზინფექცია მოხდეს გაზრდილი სიხშირით და სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;

გ) უზრუნველყონ მომხმარებლების მიერ დისტანციის (არანაკლებ 1 მეტრი) დაცვის გაკონტროლება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ზოგიერთი ღონისძიების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ სურსათის ეროვნული საგაენტოს უფროსის 2020 წლის 17 მარტის #14-1 ბრძანება.

4. ბრძანების შესრულებას გავაკონტროლებ პირადად.

5. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი